

გეოდინამიკური პროცესების ფორმირების სტოქასტიკური პარამეტრები (კახეთის რეგიონის მაგალითზე)

თინათინ ნანობაშვილი

ელ.ფოსტა: tinatin.nanobashvili@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. #3, თბილისი 0179, საქართველო.

გეოდინამიკური პროცესების ფორმირება, წარმოქმნა და მუდმივი, ანუ პერმანენტული რეაქტივაცია, გარდა დეტერმინანტული, ბაზისური საფუძვლისა დამოკიდებულია სტოქასტიკურ მონაცემებზე. ბაზისურად განიხილება დეტერმინანტული ფაქტორები, კერძოდ: გეოლოგიური აგებულება, რელიეფი, თანამედროვე ტექტონიკური მოძრაობები და კლიმატური პირობები. აღნიშნული მონაცემები სტაციონარულად არის დათვლილი და გამოვლენილი. ხოლო სტოქასტიკური პარამეტრები სწორედ არასტაციონარულ რეჟიმში შემთხვევითობაზეა დამოკიდებული. ესენია: მეტეოროლოგიური ელემენტები (რაოდენობრივი მაჩვენებლების შიდაწლიური გადახრები), მდინარეებში წყლის რეჟიმის ცვალებადობა, გრუნტის წყლის დონე, მიწისძვრები და ადამიანის სამეურნეო საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ დეტერმინანტული ფაქტორები გეოლოგიური გარემოს ჰომეოსტატიურ წონასწორობას უზრუნველყოფს, ხოლო სტოქასტიკური ანგრევს და ანადგურებს მას. რამდენადაც ბაზისური საფუძველი დროში ნელა ცვალებადია, გეოდინამიკური პროცესების მასშტაბურობას, გამოვლენის ინტენსივობას და თვით სტიმულირება-რეაქტივაციასაც სწორედ სტოქასტიკური პარამეტრები განსაზღვრავს.

გეოდინამიკური პროცესებით დაზიანებულობის ხარისხისა და მიყენებული ზარალის გათვალისწინებით, კახეთის რეგიონი გამოირჩევა ყოველწლიური აქტივაციის მასშტაბურობით. ამდენად, ამ რეგიონის მაგალითზე გეოდინამიკური პროცესების ფორმირების სტოქასტიკური პარამეტრების დადგენა, მეტად მნიშვნელოვანია, როგორც რეგიონის, ასევე ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის.